ანტიკორუფციული ბიურო

N [redacted]

27 აგვისტო, 2024 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი - საქართველოს, ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის და ლევან ცუცქირიძის მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდვების გავრცელების თაობაზე

I. შესავალი:

1. სსიპ - ანტიკორუფციულმა ბიურომ, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[15] მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეისწავლა ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს, ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის და ამ ორგანიზაციების თავმჯდომარისა და დირექტორის, ლევან ცუცქირიძის მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7[1] და 26[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული შეზღდუვების გავრცელების საკითხი.

II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

2. 2017 წლის 11 ივლისს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის“ (ს/კ 404541046), რომლის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორია ლევან ცუცქირიძე (პ/ნ [redacted]) *(მტკიცებულება: საქმის ფურცელი (შემდგომში - ს.ფ.) 1-4 - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან).*

3. 2024 წლის 11 აპრილს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „თავისუფლების მოედანი - საქართველო“ (ს/კ 404720735), რომლის დამფუძნებელია ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046), ხოლო დირექტორი - ლევან ცუცქირიძე (პ/ნ [redacted]) *(მტკიცებულება: ს.ფ. 5-43 - სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).*

4. ა(ა)იპ მოძრაობა თავისუფლების მოედანი-საქართველოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სარეგისტრაციოდ წარდგენილი სადამფუძნებლო შეთანხმების მიხედვით ირკვევა, რომ ორგანიზაციის მიზნებია:

   1. დემოკრატიული სისტემის, ფასეულობებისა და ინსტიტუტების დაცვა და გაძლიერება;
   2. ადამიანის უფლებების დაცვა;
   3. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფორმირებაში ხელშეწყობა;
   4. მშვიდობიანი დემოკრატიული და კონსტიტუციური პოლიტიკური მოქმედება ავტორიტარიზმისა და ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ;
   5. არჩევნებზე დაკვირვება (მტკიცებულება: ს.ფ. -29 - სადამფუძნებლო შეთანხმება).

5. ა(ა)იპ მოძრაობა თავისუფლების მოედანი-საქართველოს რეგისტრირებული წესდების მე-2 მუხლის მიხედვით, ორგანიზაციის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებლეთა საერთო კრება. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, დამფუძნებელთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:

   ა) ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;
   ბ) ორგანიზაციის მიერ ვალდებულების აღება, ქონების შეძენა/გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა;
   გ) ორგანიზაციაში გაწევრიანება სხვა იურიდიულ პირებში ან მისი პარტნიორად/დამფუძნებლად შესვლა;
   დ) ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა;
   ე) ორგანიზაციის და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია;
   ვ) ასოციაციის წევრობისთვის საწევრო გადასახადის დაწესება (მტკიცებულება: ს.ფ. 32 - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება).

6. 2024 წლის 1 ივლისს, ქ.თბილისში, რიყის პარკში გამართულ პრეზენტაციაზე ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს დირექტორმა, **ლევან ცუცქირიძემ,** ახალი პოლიტიკური მოძრაობა **„თავისუფლების მოედანი“** წარადგინა *(მტკიცებულება: ს.ფ. 44 - ვიდეო CD დისკზე (https://fb.watch/t3IuxBj2WA/)).*

7. აღნიშნული შეხვედრა ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს დირექტორმა და ამავდროულად მოძრაობა „თავისუფლების მოედნის“ დამფუძნებელმა ლევან ცუცქირიძემ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო, რომ ის და მისი თანამოაზრეები აარსებენ ახალ მოძრაობას - „თავისუფლების მოედანს“ და იწყებენ პოლიტიკურ საქმიანობას *(მტკიცებულება: ს.ფ. 44 - ვიდეო CD დისკზე (https://fb.watch/t3IuxBj2WA/)).*

   ამონარიდები ლევან ცუცქირიძის მიმართვიდან:

   „დღეს ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ვთქვათ, რომ ვაარსებთ ახალ მოძრაობას - „თავისუფლების მოედანს“ და ვიწყებთ პოლიტიკურ საქმიანობას...“

   *„**ხელისუფლების ცვლილება აუცილებლად უნდა მოხდეს 2024 წლის 26 ოქტომბერს,** ჩვენი გამარჯვებების თარიღზე, მაგრამ ამან აუცილებლად უნდა მოიტანოს ისეთი ცვლილებები, რომლის*

*შედეგადაც ვერცერთი ხელისუფლება ველარ გაბედავს ხალხისთვის მიცემული სიტყვის გატეხვას, როგორც ეს „ქართულმა ოცნებამ“ არაერთხელ გააკეთა უკვე. მიგვაჩნია, რომ ამ საქმეში ყველა, ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, არის ჩვენთან. ამიტომ მზად ვართ ყველა იმ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ ჯგუფთან თანამშრომლობისთვის, რომლებიც იზიარებენ ჩვენს ხედვას, ჩვენს მანიფესტს და ჩვენს სულისკვეთებას. **ჩვენ მოვდივართ პოლიტიკაში არა პოლიტიკური სივრცის დანაწევრებისთვის, არამედ მისი გაერთიანებისთვის. დღევანდელი ჩვენი შეკრება მხოლოდ დასაწყისია.** დღეს ჩვენ თქვენს წინაშე ვაცხადებთ, რომ ვხსნით კარებს თანამოაზრეებისთვის და მივმართავ საქართველოს მოქალაქეებს, **მივმართავ კაცებსა და ქალებს, სოფელსა და ქალაქში მაცხოვრებელ ადამიანებს, შემოგვიერთდით ამ ჩვენი მისიის განხორციელებისთვის**...“*

8. პრეზენტაციისთვის გამოყენებული იყო აუცილებელი ტექნიკური საშუალებები, სცენა, ეკრანი, მიკროფონები და ა.შ. *(მტკიცებულება: ს.ფ. 44 - ვიდეო CD დისკზე (https://fb.watch/t3IuxBj2WA/)).*

9. მოძრაობა „თავისუფლების მოედნის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით, 2024 წლის 1 ივლისს, ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს დირექტორმა, ლევან ცუცქირიძემ და ახალი პოლიტიკური მოძრაობის „თავისუფლების მოედანი“ სხვა წევრებმა ასევე ისაუბრეს ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში გასულ გადაცემაში, „მე-17 სართული“, სადაც ლევან ცუცქირიძემ განაცხადა, რომ ისინი სრულფასოვნად ჩაერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში, იქნება ეს საზოგადოებასთან საუბარი, შეხვედრები, თუ მოძრაობის ხედვების მათთვის შეთავაზება *(მტკიცებულება: ს.ფ. 45 - ვიდეო CD დისკზე (https://fb.watch/t3IKlHi58R/)).*

10. სოციალურ ქსელ Facebook - ში ფუნქციონირებს გვერდი, სახელწოდებით „თავისუფლების მოედანი / Freedom Square“, რომლის საშუალებითაც აქტიურად ვრცელდება ინფორმაცია ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს პოლიტიკური განცხადებებისა და საარჩევნო მიზნების შესახებ *(მტკიცებულება: ს.ფ. 46-61 - ფოტო).*

11. 2024 წლის 17 ივლისს გამართულ საჯარო ღონისძიებაზე პოლიტიკურმა პარტიებმა: „ლელო საქართველოსთვის“, „ანა დოლიძე - ხალხისთვის და ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველომ (მოძრაობა „თავისუფლების მოედანი“) ლევან ცუცქირიძის წარმომადგენლობით, საარჩევნო მიზნით ახალი ერთობის ჩამოყალიბების შესახებ განაცხადეს, რის შემდეგაც მრავალი ერთობლივი, პოლიტიკური აქტივობა განახორციელეს, კერძოდ, საჯარო ღონისძიებები, მოსახლეობასთან შეხვედრები და სხვა *(მტკიცებულებები: ს.ფ. 62 ვიდეომასალა CD დისკზე,).*

12. ანტიკორუფციულმა ბიურომ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეაფასა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პრინციპების ფარგლებში.

III. კანონმდებლობა

13. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“:

„მუხლი 7[1]
განცხადებული საარჩევნო მიზანი ის ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. განცხადება გაკეთებული უნდა იყოს საჯაროდ და მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ.

მუხლი 26[1]
1. პარტიისთვის ამ თავით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს.

[...]

4. შეზღუდვების მიზანია პარტიის და განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირება და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამ მუხლით განსაზღვრულ პირებზე შეზღუდვები ვრცელდება მხოლოდ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც უკავშირდება საარჩევნო მიზნების მისაღწევად ფინანსური ან სხვა მატერიალური ან არამატერიალური რესურსების გამოყენებას. შეზღუდვები არ ვრცელდება ეკონომიკურ/სამეწარმეო საქმიანობაზე, საკუთრების უფლებაზე, სხვა კერძოსამართლებრივ უფლებებსა და თავისუფლებებზე, თუ ისინი არ უკავშირდება საარჩევნო მიზნებს ან/და არ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისათვის გვერდის ავლის მიზნით.

მუხლი 34[1]
2. ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია:
თ) მონიტორინგის განხორციელების მიზნით პარტიისგან, განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირისგან გამოითხოვოს ინფორმაცია მისი ფინანსების შესახებ.“

IV. სამოტივაციო ნაწილი:

(ა) კანონმდებლობის განმარტება:

14. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7[1] მუხლი განმარტავს გაცხადებულ საარჩევნო მიზანს. ნორმის თანახმად, აუცილებელია არსებობდეს არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი (სუბიექტური ტესტი). ამასთან, კანონმდებელი არ აკონკრეტებს აღნიშნული მიზნის მქონე სუბიექტს. ნორმაში ნახსენებია „კონკრეტული პირი“, რაც თავის თავში შეიძლება მოიაზრებდეს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. მაშასადამე, იურიდიულ პირსაც შესაძლოა ჰქონდეს გაცხადებული საარჩევნო მიზანი. ნორმის მეორე წინადადების თანახმად, აუცილებელია ორი კუმულაციური წინაპირობის არსებობა, ესენია: ა) საჯარო განცხადება, რომელიც ბ) მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ. ორივე წინაპირობა შესაძლებელია შეფასდეს ობიექტური ტესტით. კერძოდ, საჯაროდ შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ვერბალური, არამედ წერილობითი ან ნებისმიერი სხვა, მათ შორის კონკლუდენტური გზით გამოხატული ნება.

15. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევას, როდესაც პირზე შესაძლოა გავრცელდეს პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები. ამასთან, ამ შემთხვევაშიც კანონმდებელი არ აკონკრეტებს სუბიექტის განმარტებას, რაც შეიძლება მოიაზრებდეს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირს. მაშასადამე, შეზღუდვის გავრცელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საარჩევნო მიზნის მისაღწევად შესაბამისი ფინანსური და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენებას. განსხვავებით მე-7[1] მუხლისგან, 26[1]-ე მუხლის 1-ლ პუნქტში „და“ კავშირი არ უნდა ჩაითვალოს კუმულაციურ მოთხოვნად, არამედ როგორც ჩამონათვალისთვის გამოყენებულ კავშირად. სწორედ ამ მიზნით არის ნახსენები სიტყვები „და სხვა“. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი პირი არ გამოიყენებს ფინანსურ რესურსებს და, მაგალითად, საკუთარი პირადი ან ირიბი ჩართულობით ხელს შეუწყობს საარჩევნო მიზნის მიღწევას, 26[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

16. აქვე აღსანიშნავია, რომ 26[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა შეიძლება გავრცელდეს იმ იურიდიული პირის (ორგანიზაციის) წევრებზე, რომლებიც ცნობილნი იქნებიან გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონედ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ფიზიკური პირ(ებ)ი, პირადი ან ირიბი ჩართულობით, ხელს უწყობენ საარჩევნო მიზნის მიღწევას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს ასევე 26[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტიც, რომლის თანახმადაც, შეზღუდვების მიზანია პარტიის და განცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე პირის საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირება და მათი გამჭვირვალობის

უზრუნველყოფა. ნორმის ტელეოლოგიური განმარტების მიხედვით, კანონმდებელი არ დაუშვებდა იმგვარ ფორმულირებას, რაც თავად ნორმის მიზანს შეეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, თუ ორგანიზაციის წევრი ფიზიკური პირები, რომლებიც, პირადი ან ირიბი ჩართულობით, ხელს უწყობენ საარჩევნო მიზნის მიღწევას, დარჩებოდნენ ნორმის მოქმედების მიღმა. ამით შეუძლებელი გახდებოდა ნორმის მოქმედება ისეთ პირდაპირ-პროპორციულ არჩევნებში, სადაც, განსხვავებით მაჟორიტარული სისტემისგან, ფიზიკური პირები საარჩევნო მიზნებს ახორციელებენ პარტიის (ორგანიზაციის) მეშვეობით.

17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საარჩევნო უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი) და ასევე შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (კონვენციის მე-11 მუხლი) არის მნიშნელოვანი, თუმცა არა აბსოლუტური, რაც ნიშნავს, რომ ექვემდებარება შეზღუდვებს, რომლებიც უნდა იყოს კანონიერი, ლეგიტიმური და პროპორციული. აქვე აღსანიშნავია, რომ საარჩევნო წესების, მათ შორის, დაფინანსების რეგულირების ნაწილში, სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოს ანიჭებს დისკრეციას თავად დაადგინოს შემზღუდავი ნორმები (იხ. Etxeberria and Others v. Spain (2009), 35579/03, §§ 47-48; Parti Nationaliste Basque – Organisation Regionale d'Iparralde v. France (2007), § 47). საქართველოს კანონმდებელმა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" ორგანული კანონის 26^1-ე მუხლით პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები გაავრცელა გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირზეც. მაშასადამე, აღნიშნული შეზღუდვის გავრცელება და ასევე იმ პირთა წრის დადგენა, რომელიც შეიძლება იყოს გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე, სრულად შეესაბამება სტრასბურგის სასამართლოს სტანდარტებს.

(ბ) ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა კანონმდებლობასთან:

18. ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს ერთპიროვნული დირექტორის, ლევან ცუცქირიძის მიერ საზოგადოების წინაშე, საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაში არსებობს ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს საარჩევნო მიზნები და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა შესაბამისი ფინანსური და მატერიალური რესურსი, კერძოდ:

19. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20^{15} მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიურო ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პოლიტიკური პარტიის), საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს და ამ სფეროსთან დაკავშირებულ სხვა სათანადო ღონისძიებებს. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული, აღნიშნული კანონით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს.

20. ამავე ორგანული კანონის მე-7^1 მუხლის მიხედვით, განცხადებული საარჩევნო მიზანი ის ფაქტობრივი გარემოებაა, როდესაც იკვეთება კონკრეტული პირის არჩევნებში მონაწილეობის გზით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი. განცხადება გაკეთებული უნდა იყოს საჯაროდ და მიმართული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისკენ.

21. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პარტიისთვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს.

22. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 2024 წლის 1 ივლისს გამართულ პრეზენტაციაზე ლევან ცუცქირიძის მიერ გაკეთებული ზემოაღნიშნული განცხადებები მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისკენ და მიუთითებს პირის არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის აშკარად გამოხატულ მიზანზე. ამასთან, ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს ერთპიროვნული საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებულია ფინანსური და მატერიალური რესურსები, კერძოდ, 2024 წლის 1 ივლისს, ქ.თბილისში, რიყის პარკში გამართულ პრეზენტაციაზე გამოყენებული ტექნიკური საშუალებები.

23. ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს გაცხადებული საარჩევნო მიზანი კიდევ უფრო ნათელი გახდა 2024 წლის 17 ივლისს გამართული საჯარო ღონისძიების შემდგომ, რომლის ფარგლებშიც, აღნიშნული ორგანიზაცია, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილების მიღების მიზნით, პოლიტიკურ პარტიებს: „ლელო საქართველოსთვის“ და „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ შეუერთდა.

24. მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს დამფუძნებელი არის ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046). ორივე აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორის თანამდებობას კი ლევან ცუცქირიძე იკავებს. ორგანიზაციის მიზნები გამოხატავს დამფუძნებლის ნებას იმ შემთხვევაში, თუ დამფუძნებელი, ეფექტურად წარმართავს ორგანიზაციის საქმიანობას. რამდენადაც ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს მიერ საჯაროდ გაცხადებული საარჩევნო მიზანი შეუძლებელია დამოუკიდებელი და განცალკევებული იყოს მისივე დამფუძნებლის - ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის მიზნებისგან (ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს ერთპიროვნულად განსაზღვრავს სწორედ დამფუძნებელი), მაშასადამე, დასტურდება ლევან ცუცქირიძის მხრიდან ორივე ორგანიზაციის ეფექტური კონტროლი. აღნიშნულს ადასტურებს ორგანიზაციის წესდებით განსაზღვრული დამფუძნებლის უფლებამოსილებების ფარგლებიც. ამას ისიც ამყარებს, რომ ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს საარჩევნო მიზანი ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის დამფუძნებელმა - ლევან ცუცქირიძემ - განაცხადა.

25. ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს დირექტორმა, ლევან ცუცქირიძემ, სხვადასხვა სატელევიზიო ეთერის საშუალებით გააკეთა არაერთი პოლიტიკური განცხადება, აღნიშნა, რომ მოძრაობა „თავისუფლების მოედანი“ იწყებს პოლიტიკურ საქმიანობას და ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაასახელა ხელისუფლების შეცვლა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების გზით, თუმცა მას არ დაუანონსებია, რომ იგეგმება პარტიის ჩამოყალიბება და ამ მიზნით ყრილობის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის დამფუძნებლები და გუნდის წევრები საჯაროდ გამოხატავენ საარჩევნო მიზნებს, ორგანიზაცია დღემდე არ არის რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეესტრში, მეტიც, მათი მხრიდან შესაბამისი მოთხოვნით განცხადებაც არ წარდგენილა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

26. პარტიის რეგისტრაციის გარეშე პოლიტიკური აქტივობების განხორციელება აჩენს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებისგან თავის არიდების ეჭვს. სწორედ ამ შემთხვევათა პრევენციისთვის, პოლიტიკური ფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ცნებასა და აღნიშნულ სტატუსთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

27. საარჩევნო მიზნებისთვის გაწეული ფინანსური ხარჯებისა და შემოსავლების რეგულირება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ საარჩევნო პერიოდში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისთვის წლიურ საფინანსო

დეკლარაციასთან ერთად, კანონმა განსაზღვრა ასევე დამატებით საარჩევნო კამპანიის ფონდის შექმნისა და მის შესაბამისად საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება.

28. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი მტკიცებულებების ერთობლიობა მიუთითებს, რომ ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველო, მისი დამფუძნებელი ორგანიზაცია - ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის, ამ ორგანიზაციების თავმჯდომარე და დირექტორი ლევან ცუცქირიძე, კანონით დადგენილი გამჭვირვალობის ვალდებულების გვერდის ავლით, საარჩევნო მიზნებისთვის ახორციელებენ პოლიტიკურ საქმიანობას და ამისთვის შესაბამის ფინანსურ რესურსებს იყენებენ, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორციელებულ აქტივობათა მასშტაბები.

29. ანტიკორუფციული ბიუროს კანონით განსაზღვრული ვალდებულება, უზრუნველყოს პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების/განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირების ანგარიშვალდებულება, ემსახურება კორუფციისგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს შექმნას.

30. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26^1-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, პარტიისთვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს. ამავე კანონის 34^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია, მონიტორინგის განხორციელების მიზნით, პარტიისგან, განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირისგან, გამოითხოვოს ინფორმაცია მისი ფინანსების შესახებ.

V. სარეზოლუციო ნაწილი

31. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7^1 და 26^1-ე მუხლების, 34^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ო“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 54-ე მუხლების საფუძველზე, სსიპ - ანტიკორუფციულმა ბიურომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს (ს/კ 404720735) მიმართ გავრცელდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები;

2. ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046) მიმართ გავრცელდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები;

3. ლევან ცუცქირიძის (პ/ნ [redacted]) მიმართ გავრცელდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები;

4. დაევალოს ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს (ს/კ 404720735), 5 სამუშაო დღის ვადაში, შეავსოს და ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინოს „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური

ანგარიშების ფორმები, საანგარიშო პერიოდზე: 2024 წლის 11 აპრილიდან 2024 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით (დანართი №8 - ფინანსური ანგარიშების ფორმები);

5. დაევალოს ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046), 5 სამუშაო დღის ვადაში, შეავსოს და ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინოს „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანებით დამტკიცებული ფინანსური ანგარიშების ფორმები, საანგარიშო პერიოდზე: 2024 წლის 11 აპრილიდან ბრძანების გაცნობის დღის ჩათვლით (დანართი №8 - ფინანსური ანგარიშების ფორმები);

6. დაევალოს ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს (ს/კ 404720735), ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრს მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046) და ლევან ცუცქირიძეს (პ/ნ [redacted]), 5 სამუშაო დღის ვადაში გახსნან და ბიუროს წარუდგინონ ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მათ საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯებისთვის. ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს საარჩევნო კამპანიის ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი პირების (მმართველი და ბუღალტერი) საკონტაქტო მონაცემებს.

7. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ ა(ა)იპ თავისუფლების მოედანი-საქართველოს (ს/კ404720735), ა(ა)იპ აღმოსავლეთ ევროპის ცენტრს მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (ს/კ 404541046) და ლევან ცუცქირიძეს (პ/ნ [redacted]), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

9. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26^1-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვები უქმდება არჩევნების შედეგების შეჯამების დღეს.

10. იმ შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26^1-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებები, ანტიკორუფციული ბიურო, საკუთარი ინიციატივით ან ამავე მუხლით დადგენილი შეზღუდვებისადმი დაქვემდებარებული პირის განცხადების საფუძველზე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავს პირისთვის შეზღუდვების გაუქმების საკითხს.

11. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რაჟდენ კუპრაშვილი *ხელმოწერილია*

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსი